ნორბერტ ბერნსდორფი*

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ ახალი კანონი საქართველოში - მოკლე მიმოხილვა**

ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაცია“ (“GDPR”) წარმოადგენს მონაცემთა დაცვის მთავარ მარეგულირებელ კანონს ევროპაში, რომელმაც ჩაანაცვლა ადრე მოქმედი მონაცემთა დაცვის დირექტივა (95/46/EC). ამგვარად, “GDPR” ევროკავშირის თითოეული მოქალაქისთვის ქმნის მონაცემთა დაცვის ერთგვაროვან სტანდარტს.

მიუხედავად იმისა, რომ “GDPR” ავტომატურად ინტეგრირდება საქართველოს საკანონმდებლო სისტემაში, როდესაც ქვეყანა ევროკავშირის წევრი გახდება, საქართველოს მონაცემთა დაცვის კანონმდებლობა მაინც უნდა შეესაბამებოდეს მას. საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებისთანავე, „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ ყველა დებულება ამოქმედდება. იქიდან გამომდინარე, რომ “GDPR”-ის გამოყენება პრიორიტეტულია საქართველოს კანონთან შედარებით, ეს უკანასკნელი გავრცელდება მხოლოდ იმ საკითხებზე, რომლებსაც “GDPR” არ დაარეგულირებს.

„პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ კანონის მიღებით საქართველოს საკანონმდებლო ორგანო თანამედროვე გამოწვევებს გამოეხმაურა, რომლის ძირითადი ნაწილი 2024 წლიდან შევიდა ძალაში და სრულად ანაცვლებს წინამორბედ კანონს.

ვის ან რას იცავს ახალი კანონი?

უპირველეს ყოვლისა, მონაცემთა დაცვის ახალი კანონი იცავს პერსონალურ მონაცემებს. კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, პერსონალური მონაცემები არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს უკავშირდება. ამ თვალსაზრისით, კანონი იცავს პერსონალურ მონაცემებს, რომლებიც იძლევა გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას პირის შესახებ.

როგორია „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონის შინაარსი“?

საქართველოს ახალი კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ ეხება:

- მონაცემთა დამუშავების საფუძვლებს (მე-4 და შემდგომი მუხლები);
- მონაცემთა სუბიექტის უფლებებს (მე-13 და შემდგომი მუხლები);
- დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისა და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის ვალდებულებებს (23-ე და შემდგომი მუხლები);
- პასუხისმგებლობისა და სანქციების საკითხებს (58-ე და შემდგომი მუხლები, 64-ე და შემდგომი მუხლები);
- კანონის მოქმედების სფეროს, ტერმინთა განმარტებას და მონაცემთა დამუშავების პრინციპებს (მე-2 მუხლი, მე-3 და შემდგომი მუხლები);

---

* მარბურგის ფილიპეს სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი, სამართლის დოქტორი; გერმანიის სოციალურ საკითხთა ფედერალური სასამართლოს ყოფილი მოსამართლე, წინამდებარე ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი.

** პუბლიკაცია წარმოადგენს ავტორის მიერ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტისა და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის თანამშრომლობით ჩატარებული საჯარო ლექციების ფარგლებში წარდგენილი მოხსენების ტექსტს. ღონისძიება ეძღვნებოდა ევროკავშირთან საქართველოს დაახლოებისა და ინტეგრაციის საკითხებს.

- პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს (33-ე მუხლი);
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის სტატუსს და საქმიანობის პრინციპებს (39-ე და შემდგომი მუხლები);
- სამართლებრივი დაცვის საშუალებებს (63-ე მუხლი);
- მონაცემთა სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისთვის გადაცემას (37-ე და 38-ე მუხლი) და ა.შ.

საქართველოს ახალი კანონი „პერსონალურ მონაცემების დაცვის შესახებ“ ცხადყოფს, რომ კანონმდებელმა ინტენსიურად იფიქრა და ყურადღებით გააანალიზა ევროკავშირის მონაცემთა დაცვის კანონმდებლობა, რისთვისაც იმსახურებს გულწრფელ მილოცვას! საქართველომ ახალი კანონის მეშვეობით უკვე დიდწილად შეუსაბამა მონაცემთა დაცვის ეროვნული კანონი “GDPR”-ის სტანდარტებს.

დამატებით უნდა აღინიშნოს:

საქართველოს მონაცემთა დაცვის ახალი კანონის 33-ე მუხლის მოთხოვნები, რომლებიც შეეხება მონაცემთა დაცვის ოფიცრების საქმიანობას, ძალიან ვრცელი და ბევრად უფრო დეტალურია, ვიდრე, მაგალითად, გერმანიის მონაცემთა დაცვის კანონი. მიუხედავად იმისა, რომ კანონით შესაძლებელი იყო სასამართლოების მიერ მონაცემთა დაცვის ოფიცრის დანიშვნის ვალდებულებისგან გათავისუფლება, აღნიშნული გარკვეულწილად უკვე განხორციელდა კანონის მოქმედების შესახებ დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში.

საქართველოს კანონი „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ მრავლად შეიცავს მესამე ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში მონაცემთა გადაცემის მოწესრიგებას (37-ე და შემდგომი მუხლები). თუ საქართველო ევროკავშირის წევრი გახდება, “GDPR”-ის 45-ე მუხლი ავტომატურად ამოქმედდება: ევროკომისიამ უნდა დაუშვას მონაცემთა გადაცემა შესაბამისობის გადაწყვეტილების საფუძველზე, თუმცა წევრ სახელმწიფოს შეუძლია გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება სასამართლოში. აღნიშნულის შესახებ ნათქვამია ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს 2015 წლის გადაწყვეტილებაში - „უსაფრთხო ნავსადგომი“ (C-362/14). ამის შემდეგ საქართველოს შეეძლება საკითხის დარეგულირება მონაცემთა დაცვის ეროვნული კანონმდებლობით.